საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-925

16/11/2018

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ქინძმარაულის ქ. №15, შპს „ბიოდიზელ ჯორჯიას“ ბიოდიზელის წარმოების (ნარჩენების აღდგენა) პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის II დანართის 10.3 ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ქინძმარაულის ქ. №15, შპს „ბიოდიზელ ჯორჯიას“ ბიოდიზელის წარმოების (ნარჩენების აღდგენა) პროექტზე სკოპინგის დასკვნა №48 (15.11.2018 წ.);
2. შპს „ბიოდიზელ ჯორჯიამ“ სავალდებულოა გზშ-ს ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს №48 (15.11.2018 წ.) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ბიოდიზელ ჯორჯიას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ბიოდიზელ ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და სამგორის გამგეობის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ნოდარ კერესელიძე

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი